კორელაციონიზმის მიღმა: ორი ახალი რეალიზმი

გაბრიელ თოლორაია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ფილოსოფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფილოსოფია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიგა ზედანია, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივესიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გაბრიელ თოლორაია

29.06.2022

აბსტრაქტი

დოგმატიზმის დამარცხებიდან დიდი ხნის შემდეგ, კონტინენტური ფილოსოფიის წიაღში გაჩენილი მოძრაობა, სპეკულატიური რეალიზმი, ააშკარავებს, რომ პოსტკანტიანურ ფილოსოფიას სინამდვილეში საკუთარი უთქმელი დოგმები აქვს, რომელთაგან ყველაძე ძირეულის, კორელაციონიზმის წინააღმდეგ გასალაშქრებლად ჩვენი საუკუნის გამორჩეულ მოაზროვნეებს მიუწევთ გული. კორელაციონიზმის გადალახვა რაღაც ტიპის რეალისტური პოზიციის მიღებას ნიშნავს, რაც ანალიზური ტრადიციის მიღმა ფილოსოფიაში დღეს მხოლოდ სიცილს თუ იწვევს. მაგრამ კვლევის მიზანია კვენტინ მეიასუსა და გრემ ჰარმანის თეორიების განხილვისა და შედარების საფუძველზე ცხადყოს, რომ რეალიზმის საკითხი სულაც არაა ფსევდო პრობლემა, როგორც ამას მეოცე საუკუნეში ირწმუნებოდნენ; აჩვენოს, რომ ობიექტზე ორიენტირებული ონტოლოგიაც და ფაქტობრიობის მეიასუსეული აბსოლუტიზაციაც ნამდვილი გამოწვევაა კორელაციონისტისთვის, რომელსაც მოუწევს ფუნდამენტურად გადაიაზროს მიზეზობრიობის პრობლემა: რადგან მას ან ლოკალური გაშუალების სასარგებლოდ კაუზალობის ერთადერთი ლოკუსის (იქნება ეს ღმერთი, ჩვევა თუ წმინდა განსჯითი კატეგორია) დათმობას სთხოვენ ან სულაც — მიზეზობრიობის არარსებობის აღიარებას. ნაშრომში ვლინდება მათემატიკისა და ესთეტიკის განსაკუთრებული როლი აზრს მიღმური სამყაროსაკენ ტრანსცენდენციაში და ბრტყელი ონტოლოგიის მნიშვნელობაც, როგორც ცრუ ტაქსონომმიებისგან გათავისუფლების უალტერნატივო გზა.

საძიებო სიტყვები: სპეკულატიური რეალიზმი, კორელაციონიზმი, ბრტყელი ონტოლოგია, ვიკარული მიზეზობრიობა, ფაქტობრიობის აბსოლუტიზაცია.

Abstract

Long after the defeat of dogmatism, the movement of speculative realism that emerged from continental philosophy makes it clear that post-Kantian philosophy indeed has its silent dogmas, the most basic of which, correlationism, has become a target against which the important thinkers of our century must struggle. overcoming correlationism means accepting some kind of realist position, which is ridiculous in today's philosophy beyond the analytical tradition. but the study aims to illustrate, through the discussion and comparison of the theories of Graham Harman and Quentin Meillassoux, that the question of realism is by no means a pseudo-problem, as has been claimed in the twentieth century; it aims to show that both object-oriented ontology and Meillassoux's absolutization of facticity pose the real challenge to the correlationist, who must fundamentally rethink the problem of causality, because he must either abandon the sole locus of causality (God, habit, or the category of mind) in favor of local mediation or even admit the nonexistence of causality. The following paper shows the special role of mathematics and aesthetics for transcendence to the world outside thought and the importance of a flat ontology, as the only way to free oneself from the false taxonomies.

Keywords: speculative realism, correlationism, flat ontology, vicarious causation, absolutization of facticity.